

გაზეთი ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შუკრა.

# ივერია

გაზეთის დასავევად და კერძო განცხადებათა დასავევად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ანაღ-ბუბუოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შვედლოვს საგაზეთოს; ცენტრალურს კი გრიგორის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

## გაზეთი „ივერია“ 1 მაისსიდან წლის დამთავრებამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 1 მაისსი

ჰიპოტიზმი, როგორც წინა წერილშიც ვთქვით, ახალი ამბავი არ არის, კაცობრიობას ძველ დროშივე სცოდნია ეს უცნაური მოვლენა. მაგრამ, როგორც უწინ იყო გაუგებარი ეს მოვლენა, თითქმის ისეთივე გაუგებარია ეხლაც. მეცნიერება აქამდინაც ვერ მიხვდარა, რა არის ჰიპოტიზმი, ისეთი რა უცნაური ძალა მიმაღლული ადამიანისა, თუ ცხოველის ბუნებაში, რომ რამდენსამე წუთში სრულიად სკვლის მის არსებასა. ზოგიერთი მეცნიერი ეხლა დიდს ურთხევდებით და გულ-მოდგენით იკვლევს ამ უცნაურ მოვლენას, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ უფრო თეორიულ მხარეს აქცევენ ურთხევებს და პრაქტიკულ მის მნიშვნელობას კი თითქმის განვებ თავლს არიდებენ. ამ მხრით ჰიპოტიზმის ისტორია ძალიან მიემსგავსება ელექტრონის ისტორიას. ორი ათას წელიწადზე მეტია მას აქედ, რაც ბერძნებმა პირველად გაიცნეს ელექტრონობის ძალა, და მეცნიერებას კი აქამდინაც ვერ

გაუგია, საიდან წარმოადგება და რაში მდგომარეობს ეს ძალა. მაგრამ ამ გარემოებამ მინც ხელი არ შეუშალა კაცობრიობას, რომ ეს ძალა ცხოვრებისთვის გამოეყენებინა. და მართლაც, როდესაც ამ ძალას პრაქტიკული მიმართულება მიეცა, კაცობრიობის ცხოვრებას სრული ცვლილება დაეტყო, კაცობრიობის წინ მსვლელობას სრულიად სხვა ფერი დაეფო, ახალი ფართო გზა გაეხსნა. ვინ იცის, ჰიპოტიზმისა იქნება ამისთანა მერმისი მოედის. ზოგიერთი ნიშანია ეხლაც, რომ იქნება, ჰიპოტიზმმა სამკურნალო მეცნიერებაში ძირეული ცვლილება მოახდინოს. ერთი ამ გვარი მაგალითი ეხლაც თავაწინა გვაქვს. ჩვენის ტფილისის კარგად ცნობილია ჩეილდმანმა ამ წელს ისეთი საქმეები ჩაიდინა ჰიპოტიზმის შემწეობით, რომ მთელი პეტერბურგი და მოსკოვი გააოცა. სამწუხაროდ არც ქურნაღ-გაზეთებმა და არც მსწავლულ ექიმებმა დირსეული ურთხევება არ მიაქციეს ამ ფრიად საგულისხმო ამბავსა. უმეტეს ნაწილად, ქურნაღ-გაზეთობამ და ექიმებმა რაფაცა მტრულის თვლით შეჰხედეს ჩეილდმანის საცადებს და სრულიად განს გაუდგნენ. მაგრამ ამ ბოლოს დროს ჩეილდმანმა რამდენიმე ისეთი საქმე მოახდინა ჰიპოტიზმის შემწეობით, რომ თითქმის სასწაულად ჩაითვლება, თუ მართალი გამოდ-

გა. ეს საქმე ისეთია, რომ გვეონია თვით ურწმუნოსაც კი დააფიქრებს. საქმე იმაშია, რომ ჩეილდმანმა ამ ცოტა ხანში ჰიპოტიზმის შემწეობით სრულიად განჰკურნა ერთი ქალი, რომელიც მთელი ერთი წელიწადი და შვიდი თვე დაშლად იყო ჩავარდნილი და ვერა წამლებმა შველა ვერ მისცეს. ეს განკურნება მართლაც რომ გასაოცარი ამბავია.

კითხვობს კაცი ამ ამბავს და სჯერა კიდევ დაარცა სჯერა. სჯერა იმიტომ, რომ ვერსად წასვლია თვით მორჩენილის მოწმობას და და ნაამბობსა, სხვისაგანაც შემოწმებულსა და არა სჯერა იმიტომ, რომ ეს ამისთანა მორჩენა სასწაულთ-მოქმედებასა ჰგავს. ასეთი ისე, მინც ჰიპოტიზმის მოქმედებისა და ძალის ნაყოფი თვალწინ უდგა დღეს ცნობის მოკვარე ადამიანისა: ქალი, წელიწად-ნახევარი დაშლად ჩავარდნილი, ბუტად მყოფი, დღეს ფეხზედ დიდს ჰიპოტიზმის შემწეობით; არც წამალი, არც წამლობა! მისი მორჩენა თითქმის ერთი წუთის საქმე ყოფილა, როგორც თვითონ მოგვითხრობს \*). რაღი ამისთანა უცვლელი მაგალითია თვალწინ, ჩვენ გვეონია დიდი ცდომა მეცნიერთაგან, რომ იგინი სრულს

\*) იმა ქალის წერილი დღეს არის დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში შეუცვლელად.

თავის ურთხევებს არ აქცევენ ამ საქმეს და რიგინად, ჯეროვანად არ ავირდებიან და არ იკვლევენ.

საკვირველია, ამ მხრით კაცობრიობის ბედი: ყოველი დიდი აღმოჩენი ადამიანის გენისა პირველ ხანებში ამ წამებას არ ასცილებია. ორთქლის ძალი თვით დიდმა ნაპოლეონმა უარ-ჰყო და დღეს კი ხუთის წლის ბაღიცი კი ჰხედავს და აღიარებს მის ძალსა. გადიდები კინადაც ცეცხლით არ დასწავს, როცა აღმოაჩინა, რომ მზე დგას და დედა-მიწა დიდისო. რამდენი ათასი სხვა მაგალითია მისი, რომ დიდთა აღმოჩენათა ჯერ ბევრი ვი-ვაგლანი გამოუვლია, ვიდრე თავისი შესაფერი ადგილი დაუჭერია მეცნიერებასა, თუ ცხოვრებაში და ვიდრე კაცობრიობას შეუწყნარებია.

ყველაზედ საოცარი ამისთანა საქმეებში ის არის, რომ ყველაზედ უწინარეს ახალის მდევნელი ნიმირად იგინი ყოფილან, რომელიც ხელთა სჭერით მეცნიერების დროში. ამ ჰიპოტიზმისა ეს საქმე მოსდის: ყველაზედ ძლიერი და რიგინი მტრობა მეცნიერთა დასისაგან ისმის, თუშე მათ შორის თვითო ოროლო მომხრესაცა პოულობს. ჩვენ ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ ჰიპოტიზმს მომხრეობა გავუწივით. ჩვენ მარტო იმის აღნიშნავ გვინდა, რომ ამ უცნაურს მოვლენას

დღეს იმოდენა მაგალითები მიუძღვის, რომ აბუჩად მისი ადგება, გამოუკვლევლად მისი უარ-ყოფა, მედიდურობით ზურგის შექცევა შეუწყნარებელია და მეცნიერების წინაშე უკადრისი ქცევა. ცარიელი სიტყვები ეს „მარტოტანობა“, თვალთ მაქციობაა“ — ეგ მეცნიერების მტარვალობას და ძალ-მომარეობას უფრო ჰნიშნავს, ვიდრე ჰგუესა, გამოუცდილებას, გამოძიებას და გამოკვლევას, რომელიც დაუძარბებელია მთელი პატივი, სახელი და დიდება ყოველთა მხსნელის მეცნიერობისა.

## ახალი ამბავი

\* \* \* ოთხშაბათს, 30 აპრილს ტფილისის სამოსამართლო პალატაში ირჩილა თავად ელადიმერ სუმბათაშვილის საქმე, რომელსაც ჰპრალდებოდა რომ თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის მოკვლა განზრახაო ჩვენს მკითხველებს, ვგონებ ყველას გაგონილი ექნებოდა, რომ ტფილისის ოლქის სასამართლო სუმბათაშვილი ამ საქმეში იცნო დამნაშავედ, რომ აღრევე მოუქრებულის აზრით უნდოდა მუხრანსკის მოკვლა და გადაუწყვიტა 4 წლით კატორგა. პალატის სასისხლო საქმეების გარჩევის დეპარტამენტმა, სადაც ეს საქმე გადაიტანეს, გამოაცხადა, რომ სუმბათაშვი-

## ფელეტონი

### ზოგიერთი ცნობანი და მოსაზრებანი შესახებ საქართველოს ისტორიისა.

(შედეგი \*)

საქართველო სამეფოებლოდ საოცნებო ლუკმას შეადგენდა იმ თავით ამ თავადზე, მით უმეტეს, რომ თვის ადგილ-მდებარეობით შეადგენდა მტკიცეს ბურჯს ფლობისათვის წინა და შუაგულ აზისა. ამ აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ-ორ ფაქტს.

ვახტანგ გორგასლანის დროს საქართველოს ფლობისათვის, იბრძვიან სპარსნი და ბერძენნი ურთიერთ შორის და ქართველთ წინააღმდეგ. მაგრამ მეფე ორივე მტერს ერთი-მეორის შემდეგ ამარცხებს იმათივე მხედრობის დახმარებით: სპარსებს ბერძენთ მხედრობითა და ბერძენთ სპარსთა მხედრობითა.

სპარსთა და ოსმალთ შორის მრავალ საგნოვანმა ბრძოლამ ფლობისათვის საქართველოსა ბოლოს საქ-

მე იქამდის მიიყვანა, რომ მთელი ეს ქვეყანა გაყოფილ იქნა ორ დიდ ნაწილად: ამერეთში (ქართლ-კახეთში) დამკვიდრდა გავლენა სპარსთა და იმერეთში, ზემო ქართლის ზედ, გავლენა ოსმალთა. ყოველ ამ ბრძოლაში ხან სპარსნი იმხრობდნენ ქართველებსა და ხან ოსმალნი.

უსისტემოდ ქვეყა სპარსელთა და ოსმალთა საქართველოში მდგომარეობდა იმაში, რომ ხშირად ამ გვარნი პირნი, გატაცებულნი თვისის ადგილ-ნარისხორებით, თვისის, პატრონის მორჩილებილად გამოდიოდნენ და სთელიდნენ თავის-თავს სრულ ბატონად მათდამი რწმუნებულის ქვეყნისა. ამის გამო მათი ყაენის ან ხონთქრის განკარგულებანი ხშირად ჩებოდნენ აღუსრულებლად; ამით ქართველნი დროიანად სარგებლობდნენ: ადვილად სდევნიდნენ წყალობა მოკლებულს გამგესა...

ხან-და-ხან კიდევ ეს გამგენი გამოდიოდნენ უნიკონი და გამოუღებარნი თვითანთ დამყენებლის აღსასრულებლად. რაკი იგინი მიიღებდნენ უფროსობას, მიეცემოდნენ უზრუნველობას, შთაიკებოდნენ ტფილისში, ან რომელსამე სხვა ქალაქში და სტებოდნენ მშვენიერთაგან გავსებულ პარამხანაში. ქართველნი შორილამ უმხერდნენ მათ ნებიერ, უზ-

რუნველ ცხოვრებას... ზოგჯერ კიდევ გამგედ ინიშნებოდნენ ქართველთ მეფეთა შთამომავალთაგანნი, გამაჰმადიანებულნი, აღზრდილნი ისპანის ან სტამბოლის კარზე ყაენის ანუ ხონთქრის ერთგულებაში შემჩნეულნი პირნი. ხშირად ამ გვარნი პირნი პირველ ხანში მათი ერთგულნი იყვნენ, სასტიკად აღსრულებდნენ მის განკარგულებას, მტარვალობდნენ და სისხლის წვიმებს აწვიმებდნენ საქართველოში, მაგრამ ქართველთ გაცნობით, განათლებულ ქათალიკოსთა და სხვათა გვამთა ზედ-გავლენით, ხალხის ჩვეულებების შესწავლით თან-და-თან იღვიძებდა მათში სიყვარული ლეიძის ერის მიმართ... ერის დახსნისათვის თათრებისგან. შემდეგ თვითონაც ინათლებოდა და თავ-მოწონებით ატარებდა ქართველის სახელს.

ადგილ-მდებარეობა საქართველოსა და მისი ზედაპირის აგებულობა, ჩვენის აზრით, საზიანოც იყო და გამოსაყენიც... მაშინ, როდესაც... კახეთში შემოვიდოდა მტერი, რომლისათვისაც საჭირო იყო მთელი ქართველობა დახვედროდა, — ამ შემთხვევაში ცივ-გომბორის უგზო-უკვლო მთანი ქართლელთ აბრკოლებდნენ მისაშველებლად კახელებისა, და მინამცენი მიეშველებოდნენ, მათ თავისი

მმართველთა. იმერლებს ცივ-გომბორ გარდა წინ ელობებოდნენ ლიხის მთანი, სვანთ კიდევ სვანეთისა და მებრეე სხვანი იყვნენ დამარკოლებელნი მისაშველებლად მოძმეთათვის. ამით, რასაკვირველია, სარგებლობდა მტერი და „მინამ პაულე მოვიდოდა, პეტრეს ტყავს აძრობდა.“ შემდეგ ცალკ-ცალკე იმერსაც და ამერსაც მუსრს ადენდა და ქვეყნისა აბრკობდა...

ოდესაც ქართველნი, შეატყობდნენ, რომ მტრის დახვედრა შეუძლებელია მათის სიმრავლისა თუ სხვა მიზეზების გამო, მაშინ დროიანად თავს შეაფარებდნენ ხოლომე კავკასიონის ღრმა, უდაბურ და მიუვალ ლეღებსა. მტერი მოვიდოდა, კალიასავით მიესეოდა ქვეყანას, რაც ნარჩომ-ნაშრომი იყო დაარბევდა, ქვეყანას გადაქობებდა, გაანადგურებდა, გაღანავდა და გადაბუგავდა და შემდეგ გაიკრიფებოდა საქართველოდან. მაშინ ქართველნი გამოდიოდნენ საფარიდგან, დაშენებოდნენ თვისსავე მამულებში და დაწყებდნენ მამულის ქრილობათა განკურნებას. ქვეყანა ისევ შენდებოდა...

მაშინ-კი მისელა-მოსელა ქართველთ უმთავრეს ნაწილთა შორის შეუძლებელი გახდა. ყოველი კუთხე მიემსგავსა

თათრების შიშით შთაკეტილ ციხესა. ყოველმა ნაწილმა ცალკე დაიწყო თავის ციხის დარაჯობა. ამ ნაირი მდგომარეობა გაგრძელდა არა ერთ წელიწადს, ანუ ორსა და სამს, არამედ საუკუნით - საუკუნემდე.

ბოლოს მტერნი მიხედნენ, რომ მარტო ძალა არა კმარა ქართველთ საუკუნოდ შესამუსრავად, გადასავარებლად და დასამორჩილებლად. ახლა ძალაზედ უდიდეს ღონედ სცნეს გამაჰმადიანება ქართველთა, შუღლისა და ღვარძლის თესვა საქართველს მკადრთა შორის.

მოგვხსენებთ, ქართველნი ითვლებიან უმძებლესს ერად. მათი დასაწყისი, მათი დამკვიდრება საქართველოში, როგორც ერთიანის ქართლოსიანის მოდგმისა, იკარგება უძველესთა საუკუნეთ წყვილადში. ისტორია მათ თვალს მოჰკრავს ხან-და-ხან: ხან ტირონი ჰყილიან რკინეულობასა, ტილოსა და სხ., ხან ოქროს მატყლოსანის ეფრძის ლეგენდაში და სხ. მეშვიდე საუკუნედგან ქრისტეს წინადა მოკიდებული კი ქართველნი თან-და-თან გამოდიან სიბნელიდგან. საქართველოს მდიდარი ბუნება იზიდავს ბერძენთ მოვაჭრეთა. ესენი აფუძნებენ შავის ზღვის პირას თვისთ ახალ-შენებსა კოლონიებად და იწყობენ

\*) იხ. „ივერია“ № 93 და 94.



ლი მეგ საქმის ჩადენის დროს სრულს გონებაზედ არა ყოფილა და გარდასწევიტა დამნაშავე ჩივარებინა მშობლებისათვის მოკლისა და თვალყურის დაჭერისათვის. პალატის პროკურორმა პროტესტი შეიტანა მართებლობის სენატში, რომელმაც ეს განაჩინი დაარღვია და ამ საქმის გარეგნა პალატის მეორე განყოფილებას მიანდო. ამ ახალ გარეგნის შემდეგ პალატამ დაადგინა, რომ სუმბათაშვილი ამ საქმის ჩადენის დროს მეტად აღვლევებული და აშფოთებული ყოფილა და ამიტომ არა სრულს განეზღვრება, — ჩამოერთვის დამნაშავეს ყოველივე ღირსებანი და ტომისკის გუბერნიაში გაიგზავნოს საცხოვრებლად. ამას გარდა სასამართლო საქმის გარეგნის დროს აღმოჩენილი შესაწინარებელი საბუთები მიიღო მხედველობაში და დაადგინა, იშუამდგომლოს მათ იმპერატორების უმადლოებათა წინაშე, რომ სასამართლოსაგან დადგენილი განაჩინი შეიცვალოს და დამნაშავეს გარდაეწყვიტოს 8 თვე ციხეში დამწყვეტე ღირსებათა აუხდელად.

\* \* \* აპრილის თთვის განმავლობაში ტფილისში — ცეცხლი გაჩენილა — 1, შემთხვევით მოკვლარან — 2, თვით-მკვლელობა ყოფილა — 1, მკვლის გვამი უპოვნით — 2, მიუგლიათ ყმაწვილები — 6, ქურდობა მომხდარა — 11, განსაკუთრებით შემთხვევები, როგორც დაჭრა, ჩხუბი და სხ. — 4.

\* \* \* ამას წინაშე პოლიციის მე-4 განყოფილებაში ერთი ურია დაიპირეს, რომელსაც მგონი საქონლის ტარების ნება არა ჰქონდა. პრისტავის თანაშემწემ შ. უბრძანა ერთს პოლიციის მოხელეთაგან წაეყვანა ურია პოლიციაში. შესაბრაღისი იყო ურის ცქერა, გულ-აღმა დაეცა და საზარალად ჰყვიროდა: ნუ დამიჭერ, კნიაზ-ჯან, ექვსი სული მე შემომცქერის, ექვსი სულსა ეკვებაო. მაგრამ როდესაც არ შეუსმინეს ვერე-

გან სჩანს, რომ სპარსი ყოფილა საქართველოს საშიშარი და მუდმივი მტერი. მთელი 23 საუკუნე (2,300 წელიწადი) იგი ცდილა საქართველოს გასაოხრებლად ამ ცილობის დროს, ზემოთაც ესთქეთ, რომ ხან მთელი საქართველო, ხან ერთი რომელიმე მისი ნაწილი გადადიოდა ერთის ხელიდან მეორეში, ხან იყოფნენ ამ ქვეყანას და ხან კი მოცილენი ხანგრძლივის ბრძოლით ისე ილაღებოდნენ, რომ გამარჯვებულ მხარეს ქართველნი ადვილად ამარცხებდნენ.

ამ ხალხთა მფლობელობის და მფლობელთა გავლენის მიხედვით საქართველოს ისტორია წარმოგვიდგენს შემდეგს სხვა-და-სხვა ხანას: პირველი ხანა — მფლობელობა და უზენაესი გავლენა სპარსთა მებრთე და მეოთხე საუკუნეებში. ქრ. წინაშე მკორე — ბერძენთა მესამე საუკუნეში, რომელთა მეორე — პირველ საუკუნეში, წინ და პირველ — მეორე საუკუნეში. შემდეგ. მესამე — სპარსთა მესამე და მეოთხე საუკუნეში ბიზანტიელთა, სპარსთა, არაბთა და კიდევ ბიზანტიელთა; მე-ხუთე — მე X ს. მე XIII-ის დასაწყისამდის თავისუფლება საქართველოსა. ამ დროს სომხეთის დიდი ნაწილი, მთელი კავკასია შედის საქართველოს მფლობელობის ქვეშ და თვით სპარ-

სოლომონ ბესიკიძე 22 მან. დიპლომატიკურ წინადადებას. დამნაშავე დატყუალებულია. გამოძიება სწავლობს.

### დამაკვირდი!

ფულის უქონლობა გი არა, ნიჭიერთა და მხსენ კაცთა უყოლობა ქმნის ერსა უღონოდ.

მხდალნი ერთმანეთს მუქარას უთვლიან, გაუგანნი გი ებრძვიან.

ქნა გულის ცოცხაო. (აკაკი)

ბერს კაცს ნუ ჭიბობ, ჭაბუგო, ნუ თუ შენც სამი დაბურდე; დამწვარსა კვლად ნუ დასწვავ; დასაშუშებლად დაქუბრდე.

მე რაც მმართებს, გასწავლით, გამცნებთ, რაც სცოდნარა; იქით, თუ არა იქით — თქვენ იცით, ჭკვთავან სანაგებარა.

(მეფე ვასტანგ VI)

### დაბაღ სოფელი

(მოწერილი ამავე)

ლექსების მარა, 23 აპრილს, როგორც მოგვსახეობთ იმერეთის ეპარქიალურ წეს-წყობაზედა წელს ძირეული ცვლილება იქნა შეტანილი უმადლოს მთავრობის განკარგულებით. იმერეთი უკანასკნელის შტატის დებულებით ერთს სპეციალურსა და მეორეს შტატსა, ამ სპეციალურსა მწესიდა ერთი ეპისკოპოსი იმერეთისა. დღეს იმერეთი განიყო ორ სპეციალურსა. დაარსდა მეორე კათედრა გურია-სამეგრელოს კათედრის სსელ-წოდებით და დანიშნა მეორე ეპისკოპოსი სრულის ეპისკოპოსის უფლებით. ახლის შტატის დებულებით ამ

ეპარქიაში მოქვეა ლეჩხუმის მარა, სენათურთ, რომელიც წარმოადგენს ერთს მოწვეტილს და დიდად დამორბულს კეთსეს იმ ადგილისას, სადაც უკვე დაარსებულ იქნა ახალი კათედრა, და ბინა გურია-სამეგრელოს მწვემთ-მთავრისა. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს შეაწუხა უმეტესი ნაწილი ლეჩხუმის სამღვდლოებისა; და გაიგეს თუ არა ბეჭითად, რომ სსენებელი მარა მიტროქს სსეა ეპარქიას, მეტმა ნაწილმა სსენებულის სამღვდლოებისამ მიმართა თხოვნით საქართველოს უმადლოს სსეულიერო მთავრობას რათა მან იშუამდგომლოს, სსეა ვერ არს, და სსენებელი სამღვდლოება ისე იმერეთის ეპარქიის შუქებაში დასტოვოს, რადგანც გურია-სამეგრელოს ეპარქიის შუქებაში ყოფნა დიდ შრომას და ხარჯს მოსთხოვს აჭურს სამღვდლოებისა. რა შედეგი ექნება ამ თხოვნას, მიღებულ იქნება იგი უურად-ღებაში თუ არა, ამ სსეაზედ ვერ-ჯერობით ვერას ვიტყვით, სსეაგეროდ იმის თქმა გი ამ თავითვე შეიძლება, რომ ვისაც გი დაუგლია ლეჩხუმის მარა და მეტადვე სსენებთ, გაუგნია სსეადა მისი გეოგრაფიული მდებარეობა, უმადლად დათანხმება სსეაზედ სამღვდლოებას იმზედ, რომ ახალს ეპარქიაში გადასვლა მართლად მდებარეობს ამ სამღვდლოებას. ვერ ქუთაისის სსეადა დაშორებულია ამ უკანასკნელსა და ფოთი, სადაც უკვე დაფუძნებულ იქნა ახალი კათედრა და მისი სამმართველო გურია-სამეგრელოს მღვდელთ მთავრისა, რადა თქმა უნდა, ერთი ორად უფრო დაშორებულია. აჭურს სამღვდლოებას სსეა უწყებაც თანაგონობას ამ მემთხვევაში, ამ უკანასკნელსა მადანს ემარება ფოთი. სსეა დადის ჩვენში, ვითომც სამღვდლოების თხოვას უთოდა მიიღებენ მსგავრებაშია, რადგანც ამ თხოვნას მართლად და სსეაზედ სსეაზედ აქვს. მაგრამ მოვიდეთ ცოტა და შედეგი უფრო ცხადად დაგვანახეს თუ საით დასმდებს სასწრაფო...

მსელ მდგომარეობაშია სოფელი ზოგიერთი შრომისაგან კარგმონდენტი; მეტადვე იმისთანა, რომელსაც წინაშე მოკვანილის ცნობებიდან სჩანს, რომ საქართველოს დაუძინებელი და მრავალ-საუკუნოვანი მტერი ყოფილა სპარსი და შემდეგ კიდევ შეიქმნა ოსმალო. გამოცდილებამ ამ ორთავე მტერს დაანახა, რომ ძალა ისეთი იარაღი არ ყოფილა, რომ მხოლოდ მით შეიძლებოდა დამორჩილება საქართველოსა. ბოლოს დადგნენ იგინი ახალს გზას, მოიგონეს ახალი იარაღი, რომელმაც ძალაზედ უკეთესი სამსახური გაუწია მტრებსა. ეს იყო ტყვილობით, თავაზიანობით და მზაკრობით ღვაძლ-მულის თესვა საქართველოს მკვიდრთა შორის და მამადიანობის გაფრცხლება ამ ქვეყანაში.

ამ გარმა პოლიტიკამ მტრებისამ მრავალნი მამულის შეღონი ვადარია. ერთს მებატონეს რომ მეორესთვის ეწყენინებინა, ან ბატონიშვილს ბატონიშვილისათვის, ან მეფეს ბატონიშვილისათვის, მაშინათვე მტრის ჯავრის ამოსაყრელად მიდიოდა მტერის წინაშე, მამადიანდებოდა, იმოსებოდა მისგან ძალით, მოდიოდა საქართველოში და ერთ ყოფას აყენებდა მოძმესა. ამასვე სჩადიდნენ ბატონიშვილნი; ესენი მამადიანდებოდნენ და მათ ეძლეოდათ გარდაყენებულის ქრისტიანის მეთის ტახტი. აქედან წარმოსდგა მრავალი შფოთი

დად სდამა ისეთს კუთხეში, ისეთს ხალხში ყოფნა, სადაც ათასი ერთი მანც სასამარგო და სასუგეშო არა სდებოდა, სადაც ცხოვრება უფერული და უტემურია, სადაც ერის სულიერი და სხეობრივი მოძრაობა დადუნებულია და წინაშე ვერ წაუდგამს. კარგმონდენტი ვადგებულება სოამ ის არის, რომ იმ ხალხის მდგომარეობას, სადაც ის ცხოვრობს, თვალ-უფრი ადევნოს, დაუგვირდეს მათს მოქმედებას ცხოვრების სარბიულზედ, და უკვლავ ცნობები უმეტრ-ნაკლებად განუზაროს, გარდასცეს იმ გასეთის თუ ურნადის მკითხველს სსეაგადებას, სადა მისი გაღამი მუშაობს. თუ ბედა არგუნა გასეთის თანამშრომელს ისეთი მხარე, ისეთი ხალხი, სადაც უკვლავი თავის რიგზედ მიდის, სადაც სსეა და სასამარგო უფრო ბევრი სდებოდა, ვიდრე სსეაისი და უსამარგო, მაშინ სოამ კარგმონდენტი ბედნიერია, მისი შრომა ერთი ორად ადვილია, მისი ნაწერები სასამარგო არის მკითხველებსათვის, და კმაყოფილი და მადრიედა თვით ის ერთი, რომლის შემტანათაც იგი დამდგარა... სულ სსეა არა იმ კარგმონდენტი მდგომარეობა, რომელსაც ზემოდა აღწერილი ბრველი სგედრა ჰგებოდა. ის იმულებულია დღე ხიადვ არა სასუგეშო სასეაზედ და შემთხვევებზედ ესაუბროს თავის მკითხველებს. ამ გარმა კარგმონდენტი ერთის მხრით ჰხედავს, რომ თავს აპურებს მკითხველებს მწარე ამბებით, და ქარეს მხრით ამ ხალხისაგან სოამ, რომლის მოამბეთაც ითვლება, ქვით ხასქალი სდებს ხოლმე. სამწუხაროდ ამ უკანასკნელს კატეგორიას კეთების ის კარგმონდენტი, რომელიც აიღებს წილად რაჭა-ლეჩხუმის მარა. და თუ მან თავის სწორ გზას არ გადუსვია, თუ გადუსვია უფრებლად აღნიშნა ის, რის მოწამეც არის უფრებლად, თავის დღეში თანაგონობას და გეთილდებობას ვერ მოაძიებს. მაგრამ ვინც აიღებს ამ წილად უფრეს უნდა სწორ გიდე, წინ წაიმდგაროს ჩვენის პოეტის დავით გურამიშვილის მოძღვრება, რომელიც ისტეა შემდეგს ლექსში:

მართალია მარაგელს მარაგა თვით გი ავად მოუხდების,

და დავი-დარაბა თვით საქართველოს მკვიდრთა შორის. და ესევე იყო მიზეზი იმისა, რომ ხშირად სამეფო ტახტზე იხდნენ გამამადიანებულნი პირნი გარე-მოკლნი მლიქნელობით, რომელნიც სცილობდნენ ხალხში გავრცელებინათ მამადის სჯული, სპარსთ, ოსმალო ზნე-ჩვეულება. მაგალითად მეფე შაჰ-ნაზმა ძველი წოდებანი თანამდებობათა შესცვლა ახლებითა: სასავეტს ეწოდა სარდარი, მსახურთ-უხუცესს — ყორჩიბაში, მდივანს — მუშრიბი და სხ. ამანვე გაავრცელა სპარსულმტრი მდიდრული ცხოვრება, ტანთ-საცმელი, მორთულობანი, საკრავი და სხ.

ზოგიერთ გამამადიანებულ მეფეთ დაიწყეს ყრმებისა და ქალების ჩუქება შაჰისა და ხონტრისთვის. შემოვიდა აგრეთვე საძველი ჩვეულება: ყრმებისა და ქალთა გაყიდვა ყოველ-წლივ სტამბოლისა და სპარსეთის ჰარამხანებში ისყიდებოდა და იგზავნებოდა ათასი და ათი-ათასი ქართველი ქალ-ვაჟი... (დასასრული იქნება)



მაგრამ ფარვა სიკვდილი  
ქვეყნის არ მოუდებია.  
წინდელია და მხატვრობა  
ვიღე სხვა რამ წაუდგინა  
და ზრახვებ სჯობს საზრახვით,  
ზრახვას ვაცი მოუფრთხილეს.

რატომღაც, ეს სურსათი უნდა  
დავიდგინოთ გუთნე ჩვენს სამშობ-  
ლოდას, დიდ ხანს არ გაუვლია მის შემ-  
დეგ რაც, თავის მშვიდობიანს, ნაშენი-  
ანს, და პატრიარქის, მცხოვრებლებით  
ითვლებოდა ერთ საუკეთესო ადგილად.  
აქ შეიძლება ცოტათი მანძილ თავისუ-  
ფლად ამოკუნთვა მალა წესების აღ-  
მასს. დღეს კი სამწუხაროდ სულ სხვა  
ნაირად დატრიალდა ამ მხარის პედას  
ჩანსი. ეს პატრიარქისა და წესებით  
ნაქები მხარე ღამის ცოცხალ მშენებელ  
დატრიალდა. დასრულდა მთელი ტანი  
აღნიშნულს რატომღაც და მოვი-  
და მაგრად ფეხი მის ატეხულებში სსა-  
დასსკა სესებას. ოსტატური ცარტვა-  
გლეჯა, ქურდობა, მოტყუება, განსრავ-  
ნების წაგდება, სიჭაბუკე, ერთსაგან  
მეორის მტრობით პირუტყვების ჩება,  
დაკვლა, ადამიანის ტყვეობა, ჩება და  
გვლა—ყველა ამ მძიმე იარაღს წესო-  
ბასამ გააძვკს ფეხი ჩვენში. ყველაზე  
უფრო აქადასანის ტყვეობა, ჩება და გვლამ  
იხისა თავი. ამის დამამტკიცებელ ოქ-  
მად მარტო იმას აღნიშნავ, რაც ამ უკ-  
ნასწავლს სანებში გასდა; ამას წინადა  
ანში თვით მოძრაობებ სსამართლოში  
ჩსუბი და ტყვე იყო, და ეს გარეგან-  
ბა დღესაც მთელს უფრადებსა ი-  
ყრბს აქურთის მშვიდობიანის სახსისას.  
იმავე ოსში გაძარბა შეტყუება და დას-  
რუდა მკვლელობით: გ. ა.—გამა მტკ-  
და ქვათ ახ. სარ. გაძურდა. ეს თი-  
თქო იუგადრისა ღვინის მასრამ, რ-  
გორ თუ ამ გვარ მოქმედებაში წინ მის-  
წებს რატომღაც მასრამ და აქამ ნაირივე  
ამბები მოხდა, ერთმა ახსნაურობა ე—  
ლას საფარტით გატენიდას თოფით დასტრ-  
ურადლო მისეზის გამო ჩი—ნი. ამავე  
მასრამ ღვინის კრამა ვიდაცამ, რომლის  
სასელი ვერ ვერ გაგვიგია, სანკვლით დას-  
ტრამ მტყულებს ს. ვ.—ვი. ამბობენ ვიდე  
ვათამ სკანეთში ორი გაცი მოუკვდავთ  
და სსვა ამ გვარა. ყველა ეს ამბები ა-  
გარად დადადებენ იმას, რომ ამ გვარს ა-  
ხსნობას რამე წამალი უნდა დაეკვას.

ქიხოსრო გელოვანი

უსნაური მოკლენა.

ჰინოტიზმს, რომელსაც ჩვენ უც-  
ნაური მოკლენა დავარქვით ბევრი  
თავსაცილი დატყდა ზოგიერთ მსწავ-  
ლულ ექიმთა ჟურნალ-გაზეთებისაგან.  
ბევრი მათგანი ჰინოტიზმს სრულიად  
უარს ჰყოფს, «მარალატანობას» და  
თვალთ-მაქცობას სწამობს და ღირ-  
სდაც არა ხდის მეცნიერების ყურად-  
ღებისას. ამასთანავე ზოგნი კი ისეთს  
მაგალითებს მოგვითხრობენ ჰინოტიზ-  
მის მოქმედებისას, რომ გვიკვირს,  
მეცნიერება და მეცნიერნი ასე აბუჩად  
რად ეტყვიან ამ მართლა და უცნა-  
ურს, მაგრამ თვალ-საჩინო მოკლე-  
ნას. აი მაგალითად, წერილი იმ ქალი-  
სა, რომელსაც ჰინოტიზმის ძალა თავის  
თავზე გამოუტყდა. მერე როგორ?  
წელიწადი ნახევარი დამბლად ყოფი-  
ლა, ექიმთა წამლობას ვერა უწე-  
ლია რა, ამდენი ხანი კუჭად ყოფი-  
ლა და ენლა კი მორჩენილა და ფეხ-  
ზე დაღს.

წელიწადი და შეიღი თთვე, სწერს  
ის ქალი ვაზეთ «Новости»-ს, ორისა-  
ვე ფეხით დამბლად ვიყავი ჩავარდნი-

ლი. ეს სიღამლე დამეძარბა ერთის  
უბედურობის შემდეგ, რომელიც ჩემს  
ცხოვრებაში შემემთხვა.  
წელიწადი და ოთხი თთვე ეკატრი-  
ნის სამკურნალოში ვიწეკი და, რად-  
განაც მორჩენის იმედი სრულიად და-  
კარგე, 2 ს მარტს ისეე უნუგეშოდ  
გამოვედი სამკურნალოდამ. ერთის  
კვირის უკან ამის შემდეგ ვაზეთებში  
წავიკითხე, რომ მოსკოვში ვილაც  
ფელდმანია, რომელიმაც გოლიცინის  
სამკურნალოში ერთი ძნელად აუად-  
მყოფი მოაჩინაო. არ ვიცი რათა და  
მე კი სრული სასოება მომეცა, რომ  
ფელდმანი მეც უთუოდ მომარჩენს.  
როგორც იყო აღრესი გავიგე და  
ფელდმანთან წავედი, ეს ამბავი 28  
მარტს იყო. დავაყენეთ ფეტონი იმ  
სასტუმროს წინ, სადაც ფელდმანი  
იღვა და რადგანაც მე არც ფეხზე  
დგომა, არც სიარული არ შემიძლო,  
ამიტომ ხელში ამიყვანეს და იმის  
ოთახში ისე შემიტანეს.

რამდენადაც მახსოვს, მე ისე ვი-  
ყავი აღუღებელი, რომ ენა ჩამვარ-  
და, ლაპარაკს ვეღარ ვახერხებდი და  
მხოლოდ ვტროდი. ვეშუდარებოდი  
ფელდმანს, განვეთავისუფლებინე ჩე-  
მის საშინელის აუად-მყოფობისაგან.  
ჩემმა მხსნელმა და მკურნალმა მითხ-  
რა,—მოვარჩენო, მაგრამ ჯერ ბარა-  
თი მომიტანე ექიმ როტისაგან, რომე-  
ლიც წინადა გვამოლობდათო—მაშინ-  
ვე თითონ წერილი მისწერა ბ—  
როტსა. ჩემმა ძმამ როტისაგან პასუ-  
ხი მოუტანა. ამის შემდეგ ფელდმანი  
დავებრდა, რომ დღეს საღამოს 11  
საათზე მოვალ თქვენთანაო. ველო-  
დებოდი და გული გულის ადგილას  
აღარა მქონდა. დოქტორი შ. მთელს  
საღამოს გაუშორებლად ჩემთან იყო.  
ფელდმანი ამ საღამოს არ მოვიდა,  
როგორც მერე აღმოჩნდა იმ მიხეზის  
გამო, რომ ჩემი სახლი ვერ ეპოვა.  
მეორე დღესაც ჩემმა ლოდინმა ტყუილ-  
უბრალად ჩაიარა. მე ეს ძალიან მეწ-  
ყინა. მაგრამ პარასკევს კი, 28 მარტს,  
შუადღის 12 საათზე, სრულიად მოუ-  
ლოდნელად შემოვიდა ჩემს ოთახში  
ფელდმანი და თან მოჰყვა ბ—ნი რ.,  
რომელიც მე წინადაცა ფელდმანთან  
ჩემ ყოფნობის დროსა ენახე. ამათმა  
მოსვლამ თუმცა ძალიან გამახარა,  
მაგრამ ძალიან ამრიხა და შემაშინა  
კიდევ. ცოტა ხანს მე მესაუბრეს,  
მერე ხუთიოდე წუთი ერთმანეთში  
მოილაპარაკეს, მაჯა გამისინჯეს და  
მითხრეს—თუ გსურთ, ჰინოტიზმის  
ძალას ესტდითო თქვენგანა. იმდენი  
ტანჯვა გამოვიარე ჩემის სწეულობის  
გამო, რომ სიცოცხლე მომტლებუ-  
ლი მქონდა და, რასაკვირველია, მე  
ყველაზედ თანხმა ვიყავი, ოღონდ  
რაიმე შეველა მომცემოდა. პირველ  
ხანებში, როცა ჰინოტიზმის მოქმე-  
დებს მიმცეს და სკამიდან მდივანზე  
გაღამიტანეს, მე ყველაფერს ეხედა-  
დი, ყველაფერს ვგრძობდი და ამი-  
ტომ ყველაფერი კარგად მახსოვს.  
მახსოვს, ფელდმანმა როგორ ფრთხი-  
ლად მიმასვენა მდივანზედ, აილო  
სკამიდან პატარა სარკე, შავი ხელსა-  
ხოცი შემოახვია, ჩემ თვალ-წინ დაი-  
ქირა და მთხოვა, რომ იქამდინ მე-  
ყურებინა მბრკვიანე ლურსმისთვის,  
რომელიც სარკის ერთს კუთხეში იყო  
ჩარქმული, მანამ დავიღლებოდი.  
შემდეგ ბ—ნი რ. თავში მომიდგა და  
სარკე პირში მომანათა, ფელდმანი  
კი ჩემ ახლო დაჯდა და თავზე,  
შუბლზე და ხელზე ხელის სმა და-  
მიწყობა, და ძალიან მესიამოვნა. ამის

შემდეგ კი აღარა მახსოვს-რა, თით-  
ქოს სრულიად თავს არა გადახმელო-  
დეს რა. ეტყობოდა ძილში ჩავვარდი,  
რადგანაც მახსოვს, რომ უკანასკნელ  
წამებში მართლა მთელმადეა და ძი-  
ლი მერეოდა.

როდესაც გამომეღვიძა (ეს სხებმა  
მითხრეს, რადგანაც მე ისიც სრუ-  
ლიად არ მახსოვს, მეძინა თუ არა),  
სრულ გონზე მოვედი და გარშემო  
მივიხედ-მოვიხედე, ძალიან გამიკვირ-  
და, რომ მდივანზე, მეამე ოთახში  
უეცრად ჩემი თავი დადინახე. მკითხეს,  
მესამე ოთახში თქვენ თითონ ხომ  
არ გამოხვედითო, მაგრამ მე ვერა-  
ფრის თქმა ვერ შევიძელე, რადგანაც  
სრულიად არ ვიცოდი, როგორ მოხ-  
და ყველაფერი ეს. ამის შემდეგ ფელ-  
დმანი მეუბნება:—ხომ არ გინდათ,  
რომ პატარა გაიარ-გამოიაროთო. მე  
მეგონა, რომ დამცინის მეთქი, რო-  
გორც დამლასა და კუჭსა. მე ეს  
ძალიან მეწყინა მით უფრო, რომ  
ფელდმანი ხუმრობით არ მეუბნებო-  
და ამას. მე თვალზემეცრემლი მო-  
მივიდა და ეუთხარი: გავლა არ შე-  
მიძლიან მეთქი,—აი წელიწადი ნახე-  
ვარია რაც დამბლად ვარ ჩავარდნი-  
ლი. ფელდმანმა მანც ხელ-ახლად  
ითხოვა—გამელო და თან დაბეკი-  
თებით მარწმუნებდა, რომ ენლა სი-  
არული შეგიძლიანთო და რომ სრუ-  
ლიად დავრწმუნებინე, ფელდმანმა  
ოდნავ ხელი მომიკლა, ფეხზე წამომა-  
ყენა და მიბრძანა,—გაიარო. მეც  
გაიარე ჯერ გაუბედავად, ნელა, მე-  
რე უფრო და უფრო გაბედით და  
ჩქარა, არც სხვის შეწვენა-ლა მინდო-  
და და არც დალაღვა შევიძინე.

ქალაქზე ვერ შემიძლიან გადმოგ-  
ცეთ, რასა ვგრძობდი მე იმ წუთში.  
ათას ნაირმა სხვა-და-სხვა გრძობამ  
ისე სრულიად შეიპარა ჩემი გული,  
რომ მე ჩემი თავისა არა ვამეგებოდა-  
რა. მხოლოდ ამას-კი ვიტყვი, რომ  
ამ უცნაურმა ცვლილებამ სრულიად  
გამაოცა. ერთსა და იმავე დროს  
ესტროლი და ვიცინოდი კიდევცა,  
ვეხვეოდი ყველას, სიხარულით ვკოც-  
ნიდი, ჩქარი სიარული დავიწყე ოთახ-  
ში; მინდოდა ყველასთვის მივყენებინ-  
ა, რომ ენლა სიარული შემიძლიან  
მეთქი, ჩემ გულში-კი ვამბობდი,—  
რატემა ყველა ამას ცხადად ეხედა  
თუ სიხარული მეთქი. ფელდმანი-კი  
სულ მეხვეწებოდა, რომ დამეგიდე-  
ბულიყავი, ღელვისა და სიხარული-  
საგან დავწინარებულეყავი. ფელდმა-  
ნი, ჩემდა სამწუხაროდ, ამის შემდეგ  
ჩქარა წავიდა და თან პირობა მამცა,  
რომ დღეს საღამოზედვე ისევა გნა-  
ხეთო.

მთელს ამ ჩემთვის მარად სახსო-  
ვარს დღეს ჩემს თავს ისე ვგრძობ-  
დი, რომ უყეთესი აღარ შემიძლება.  
წარმოიდგინეთ კაცის მდგომარეობა,  
რომელიც საშინელ სწეულებას დიდს  
ხანს შეპყრობილი ჰყვანდა და ერთს  
წუთში სრულიად განთავისუფლდა.  
ვამბობ, ერთს წუთში იმითომ, რომ ჩე-  
მი მორჩენა მართლა ერთს წუთში მოხ-  
და, რადგანაც სრულიად არ მახსოვს,  
რამდენი ხანი ვიყავი ძილში... იმავე  
საღამოს რალხედაც დავლოდი,  
გულზე სვედა მომავა. 9 საათზე  
ჩემთან ბ—ნი რ. და თვითონ ფელ-  
დმანი მოვიდნენ და მე ექიმ როტთან  
წამიყვანეს, როგორც მერე მითხრეს  
იმ განზრახვით, რომ თვითონ ექიმს  
შემეწმებინა ჩემი განკურნება. რო-  
დესაც დოქტორებმა, როტმა და მო-  
მუროვმა, რომელნიც წინადა მწამ-

ლობდნენ, სწეულებსაგან სრულიად  
განთავისუფლებული დამინახეს, ეტ-  
ყობოდათ, ძალიან ვაპკვირდნენ;  
ჩემდმანი და დოქტორები მეო-  
რე ოთახში გავიდნენ, მე, ერთი  
ჩემი მეგობარი ქალი და ბ—ნი  
რ. კი ისეე იმავე ოთახში დავჩრით.  
ლამის ათი საათი იქნებოდა, როგორ-  
ღაც ნაღვლიანად გავხდი, რილასაც  
ლოდინში ვიყავი... დამიხანეს მეო-  
რე ოთახში და როგორც ბ—ნმა როტ-  
მა მითხრა ვითომ იმითომ, რომ ჩემ-  
თვის ფეხები გავმინჯათ.

რამამივიდა აქ ხელ-მეორედ, კარ-  
გად არ მახსოვს. მერმე მითხრეს,  
რომ ჩემზე კიდევ ჰინოტიზმის ძალი  
სცადესო. ეს კი მახსოვს მხოლოდ,  
რომ ოთახში შავიდი, მდივანზე და-  
ჯექი, ხელ-მეორედ დამბლად ჩავვარ-  
დი, მდივნიდან აღდამაც-კი ვეღარ  
შევიძელე... და ერთის წამის შემდეგ  
კი ისეე ისე დავიწყე სიარული, თით-  
ქოს თავის ღღემი ავად არ ვყოფი-  
ლეყავი. მერე შევიტყე, რომ ფელ-  
დმანს წინა დღეს ჩემთვის ჰინოზის  
დროს შთავგონებინა, რომ ხვალ სა-  
ღამოს 11 საათამდე იქნები კარგა-  
დაო და მერე-კი ისეე დამბლად უნ-  
და ჩავარდეთ. ეს სწორედ ასეც მოხ-  
და. დღეს-კი ისეე ჰინოზის დროს  
შთაუგონებია, რომ ენლა-კი სამუდა-  
მოდ უნდა განთავისუფლდეთო. ამის  
შემდეგ გამოვემშვიდობე ჩემ მკურ-  
ნალს და განარებული შინ წამოვედი.  
ენლა სრულიად ჯან-მრთელადა  
ვეგრძობ ჩემს თავსა: არც თავის  
ტკივილი, არც გულისა და არც წე-  
ლისა სრულიად აღარ ვიცი. მხოლოდ  
ერთი გარემოება-ლა მაწუხებს ენლა:  
ათასი კაცი მოდის ჩემთან ყოველ  
დღე და ჩემის საქმის გარემოების გა-  
მოკითხვით მოსვენებას აღარ მძლე-  
ვენ და თავს მამბებრებენ. სხვათა შო-  
რის აი ამ მიზეზმაც გამაბედინა ეს  
წერილი დამეგეცა თქვენს ვაზეთში.  
სერაჰიმა ბერეჰინა»

ნარკვევა

(ჟურნალ-გაზეთებში)

რუსეთი უწინ დიდს ურუდდე-  
ბას აქცევდა ბალკანის ნახევარ-კუნ-  
ძულს. ისე საქმე არ დაიწყებოდა  
აქა, რომ რუსეთს ცხარე მონაწი-  
ლეობა არ მიეღო. ამ უკანასკნელ  
დროს კი რუსეთმა თითქმის გუ-  
ლი აჰყარაო ამ მხარეზედ. ბოლ-  
გარების საქმე გადასწყდა, ბერძნე-  
ბის დავაც დღეს თუ ხვად, ავად თუ  
კარგად დაბოლოვდება, ყველას  
დიდი სახელმწიფო ამ საქმეებს  
გულ-მოდგინეთ უურს ადევნებს  
და რუსეთი კი ხმას არ იღებს. რა  
მიზეზია? ნუ თუ რუსეთი სხვა პო-  
ლიტიკას დაადგა?

არაო, ამბობს ვაზ. «Московскія Вѣ-  
домости», რუსეთს თავის პოლიტიკის-  
თვის გზა არ გადაუწყვიტო, რუსეთი ბო-  
ლოდინს უნებროდ იქვეა, მტკიცედ  
იტავს ბერლინის ხელშეკრულობას  
და გულ-მოდგინედა ზრუნავს, რომ დიდ  
სახელმწიფოთა შორის თანხმობა და მშვი-  
დობიანობა არ შეირყოს. დროა, ყველაფე-  
რი ეს ევროპამ გაუგოს, დროა ეს სმა-მადლი  
ვადიაროთ მთელ ევროპის წინაშე მტკად-  
რე ენლა, როდესაც ევროპაში ათას-გვარ  
საზიზღარ ცილსა გვწამებენ, ვითომ ჩვენ  
რადაცა სიდიულლო განზრახვა გვქონ-  
დეს და რადგანაც ვერას მივახსენებთ, იმი-  
ტომ ვაჩუბდით და განს ვავადეითო.  
ეს დიდი სიძრუეაო, რუსეთმა კარგად  
იცოდა, რა მსხვერპლი მოჰქონდა და

წინაც კიდევ რამდენი მსხვერპლი მოე-  
ლოდა, როდესაც ბერლინის ხელშეკ-  
რულობის მოსარჩლედ გამოდლოდაო.  
მაგრამ რუსეთმა ეს განგებ ჩაიღინა, რე-  
სეთს ასე უნდადა მოქცეულიყო და არა  
სხვა ნაირად. რუსეთი იმ მიზეზის გამო-კი  
არ ჩაჩუბდა, რომელსაც ევროპა ასახე-  
ლებს, არამედ იმის გამო, რომ რუსეთი  
ამ გვარ პოლიტიკას საუკეთესოდ სოვლის  
შვიდობიანობის დასაცველად, რომელიც  
მას გულითა სწერსო.

გაზეთი თავის წერილს ასე ათა-  
ვებს: «დროა, სხვაზედ ზრუნვას  
თავი დავანებოთო! სხვისთვის საკ-  
მაოდ ვიძუშავეთ, ახლა ჩვენი თავ-  
ვისთვისაც ვიფიქროთო»....

\*\*\*

ბ-ნი მეშჩერსკი შინაურ საქმეებს  
დაჰბრუნებია. ენლა თავის «Гржи-  
данинъ»-ში ქორწინებაზე გაუბარ-  
თავს ბასნი და, რასაკვირველია, იმ  
ქორწინებაზე, რომელიც მაღალ  
საზოგადოებაში იმართება ხოლმე.  
ბ-ნი მეშჩერსკი მდბაბიო საზოგა-  
დოებაში ჩამოსვლას არა კადრუ-  
ლობს. მაღალ საზოგადოებაში,  
როგორც, ბ-ნი მეშჩერსკი გვარწ-  
მუნებს, სიყვარული დიდს პატივ-  
ცემში არა ყოფილა.

მაღალ საზოგადოებაში, მოგვითხრობს  
ბ-ნი მეშჩერსკი, ბედნიერად ითვლება  
ისეთი ქორწინება, როდესაც საქმრო აშ-  
ბობს: «მე, თუ ცოლის შერევა-შევირ-  
თავო... და საცოლო-კი პირველს გა-  
დოურს და იუყვის; რაც განდეს—გან-  
დეს, გავთხოვდებო... ამ გვარ ქორწინე-  
ბაზე სწორად მომავონდება ხოლმეო მშვე-  
ნიერი სიტუებები, რომელიც ერთ მოძღვარს  
უთქვამს, როდესაც ორი ბებრისთვის ჯგა-  
რი უწერა: „გიუგარდეთ, შეიღებო, ერ-  
თმანეთი, თორემ თუ თქვენ თითონ ერ-  
თმანეთს არ შეიყვარებთ, მაშ სხვა ვილა  
ეშმაკი შეიყვარებთო?»

უცხოეთი

ინგლისი. თან-და-თან, რაც უფრო  
დრო მოდის, გლადსტონის მომხრენი  
დეპუტატთა შორის ცოტაეგობიან, მცხო-  
ვრებთა-შორის კი ბევრდებან და მტუ-  
ფობენ. დეპუტატები ახირბენ წინადა-  
მდეობა გაუწიონ გლადსტონის პროექ-  
ტებს, ქვეყანა-კი გლადსტონის სასელს  
ფიცულებს. ამ გვარად დეპუტატების  
ახირ პროექტების თაბასე აღარ ეშე-  
სასამება მათ ამომრჩეველთა ახრს. დე-  
პუტატები ერთსა დასარგობენ და მათი  
ამომრჩეველები-კი სსვას. ცხადა, რომ  
ამ გვარ შემთხვევაში პარლამენტი უნდა  
დათხოვნიდ იქმნას და ახლდა არჩევნები  
დაინიშნოს, რათა ერთს ისეთი დეპუტა-  
ტები ამომრჩიოს და გავსახნოს პარ-  
ლამენტში, რომელთა ახრის და შესედე-  
ლება ერთს ანუ ამომრჩეველთა ახრის  
და შესედელების შესაბამი იყოს.

რადიკალების მოთავე ჩამოქრენიც და  
ზომიერ ლიბერალთა წარმომადგენელი  
გარტინგტონიც ბერს ეცადნენ, მაგრამ  
ვერ დაიყოლაეს თავიანთი ამომრჩევე-  
ბიო. ჩვენ დიდდ ვაფასებთ დავწესსამ-  
ბერქისისასაო დემოკრატის მამართო,  
უთქვამთ პირმინგატელებს, მაგრამ მანც  
საჯაროდ ვცხადებთ, რომ ჩვენ გლადს-  
ტონის პროექტს თანაუგვრძობთო, ჩვენც  
დიდს პატივის-მცემულნი ვართ გარტინ-  
გტონისაო, უთქვამთ ამის ამომრჩეველ-  
თა ღანკამიში, მაგრამ მანც იმ გაჭი-  
რებას დროს, რომელშიაც დღეს იხედი-  
სია, დიდი უმეტესობა გლადსტონის  
მომხრეაო. ვერასე გარტინგტონის ღა-  
პარაკს აწეკტირებდნენ და ჰუერდდნენ:



გაუმარჯოს გლადსტონსა, გაუმარჯოს მორლესა და ლორდ სქესპერსა.

თუ ასეთი საქმე დაემართათ ასეთს გამოჩენილს წარმომადგენელთ, როგორც ჩემბერლენი და გარტინგტონი, ცხადია, რომ სერი არც იმ წერილ მოწინააღმდეგეთ დაუერებოდათ, რომელნიც მხოლოდ ამით ფეისის ხმას აჭყენებო.

გლადსტონს წიგნი მიუწერია მადლოტის ამომრჩეველთათვის და ამ წიგნით აფრთხილებს თურმე ლიბერლებს, ნუ განაწილებენ, თორემ კონსერვატორები გაიმარჯვებენ და სამინისტროს ისინი შეადგენენ. კონსერვატორებს ბრძოლა გლადსტონის წინააღმდეგ მიანებებს მის ამხანაგ მინისტრებს გარტინგტონს, ჩემბერლენს და ტრეველენს, და თავით აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ და სინუძე იხიეს. მაგრამ ასეა რომ ქსედავენ, სინუძით არა გარტინგტონსა, დიდი დავიდანაა აუტყეს გლადსტონს. ერთს კონსერვატორს უთქვამს კრესპე, რომ გლადსტონის სიამავე ტყუ-შერეულის კაცის სიამავეა. ჩემბერლენს სხვაგან უთხრის დროს, მის ცოლს გლადსტონის წინააღმდეგი ვლუბი დაუარსებია და გლუბი წამოიუთქვამს სიტყვა, რომ ყველა პარტიკული ინგლისისა უნდა შეერთდნენ და ეწინააღმდეგონ გლადსტონსა, რადგანაც მის განუხრანავს ღაბღავით ერთიანობა ბრიტანის იმპერიისა.

ამას რომ ქსედავენ ლიბერლები, უფრო უსწრაფებენ ერთმანეთს. პარსელები ხომ დემოკრატიის შესწავლის გლადსტონს და თეთრს კეპსებს ამხადებენ ამომრჩეველთათვის. ამერიკულ ინტანდიელ განკეთებს ცამდის თურმე აჭყით გლადსტონი. უმწვერვალესი რადიკალი ირლანდიელ დევიტი-გი თურმე გლადსტონისკენ არის. თუ, როცა საჭირო იყო ჩვენთვის, ამოიბენ თურმე პარსელები, დავამარცხოთ ლიბერლთა სამინისტროც, ახლა, როცა საჭიროა ეს სამინისტრო, ყველანი ერთხმად გლადსტონის მომხრეთ მავსებთ თეთრს კეპსს და დავამარცხოთ საღისურისა და ჩერხილსაცა.

აპსტრომ-პენსიონი. ამ ბოლოს დროს განკეთება დაიწყო ლანკაში, რომ ავსტრო-გერმანიის განზრახვა აქვს დიდის ამით სრულიად შემოუერთოს თავის სამფლობელოს ბოსნიას და ჰერცეგოვინას. როგორც ვიცით, ბოსნიამ და ჰერცეგოვინამ პირველად ამართა დროშა ოსმალთა მფლობელობის წინააღმდეგ 1876 წელს და ბუერის სისხლიც დაჰღვანათავის განთავისუფლებისათვის ოსმალთ მონებდამ, მაგრამ უგულვო მოქსნაკემ კერძის საქმეისამ თავადმა ბისმაგმა არ ინება, რომ თავიანთი დავაწლის ნაყოფი ეგებს ბოსნიას და ჰერცეგოვინას და ეს ორი თემი აიღო და ავსტრიის მოუბრძოლად დროებით, ვითომ წესისა და რიგის დასამყარებლად. გავიდა დრო და ავსტრიის ადრან უბიულბუს უბრლო წესის დამცველის როლს და უნდა გამოადგინდოს, რომ ბოსნიას და ჰერცეგოვინას საშეღი-შეიღო საკუთრება ავსტრიისა. შარშან იმპერატორი ფრანც-იოსევი გაემგზავრა ამ თემებში, მაგრამ მხოლოდ სამზღვრამდე მივიდა და უკანვე დაბრუნდა. გრაფმა კადაში, რომელიც განაკებს ამ ორს თემს, უნდა იმპერატორს უკან დაბრუნება. რა თქვენ ბოსნიას და ჰერცეგოვინაში შემობრძნდებით, უნდა გი-დევ დიდის ამით გამოცხადდეს, რომ ბოსნიას და ჰერცეგოვინას ავსტრიის სა-

მუდამად შეუერთდა, ესე-გი დრო არ მოსულა ვერ ამისა. წელს განუხრანავს ვადემ იმპერატორს წაბანება ბოსნიას და ჰერცეგოვინაში და ამოიბენ, ეს ამბავი მის მოსწავებს, რომ ავსტრიის უმემ გადაუწყვეტია ბოსნიის და ჰერცეგოვინის ბედი.

# დეკემბერი

30 აპრილს

ნიუ-იორკი. გერმანიის სოციალისტი მარტი შეუერთდა იქმან.

ლონდონი. მოხვალს ცრუდა ზირა უჩანს; შურის მარცვალს ჭია გაუჩნდა.

ლონდონი. „რეტრეის“ საგანტონს სწერენ დეპუტატს ათინადამ, რომ დღეს და ღლით ზანაინაღმულოდ სრული უარა სოქვა, კაბინეტს ვერ შევადგენთ, რადგანაც კაროლის თანხმად არა ვარა. კაროლს ქსურს დროებითი სამინისტრო შეადგინოს ზალატის მოსწოდებლად. ესლ კაროლმა ვალ უიხს მაქმანთა.

305ა. გაზეთი Politiky «Korrespondenz»-ი იუწევს, რომ ხალხნიკის მთავრობა სოსოვს ავსტრიულ ქვეშევრდამთ, ხსმელებს ბაჟი უნდა გადახადდეთ. დიდნი ხსედექი-ფიფანა მხლელად ზარობით დასთანხმდნენ, რომ მთავრობას ავლა ეს გადასახადია. ახლა მთავრობა სოსოვს ავსტრიელებს რამდენიმე განულის წლის გარდასახადს; ამასთანავე ვინც არ იძლევა ამ გადასახადს, მთავრობა ხსმელებს ვადგის მოწმობას ადარ ამლეგს და ადარც საჩივრებს იღებს ხსამართლო საქმეების განმყოფ. ავსტრიის ელჩმა წინააღმდეგობა გამოაცხადა ზორტას წინაშე ამ გვარის უკანონო მოქმედებისათვის და მოითხოვა, რომ ბოლო მოეღოს ამ უკანონობასა.

1 მაისს.

პეტერბურგი. ოპიციანლური დეპუტატს აილციდამ იუწევს, რომ გუშინ მიბანებულა ლივანის დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს-ქე.

ატიონა. მთავარ-მინისტრობა მიაღო ვალუისმა და შეადგინა ახალი სამინისტრო, რომელსაც ხაზოლიტიკო მამართლებს ანა აქვს განსაზღვრული ამ სამინისტროს უმთავრეს საგანად აქვს, თოფ-ანადი აქვაროს საბერძნეთსა. ზალატის მოწვევადე ვი ანადლის ავრ არ მოხდება.

ზალატა შეავრბებს მოკლე ხნის განმავლობაში.

## საკალმენდრო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩუვ (1886) წელიწადი. ქვეყნის შექმნილამ 7394. მკელი ინდიტიონი მე-14; ამისი ქორონიონი — ულმ=478 წელი. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიტიონი მე-4; ამისი ქორონიონი — მ=42 წელიწადი. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ. 1886 წლის ზედ-ნაღები — 3. ყველიერი მოდის 16 ფებერვალს,

დიდ-მარვა — 23 ფებერვალს, აღდგომა — 13 აპრილს, ა მალ დევა — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა — 1 ივნისს, ამაღლილამ იწობა 3 ეტრ-3 აგლოპის მარვა. ეს მარვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

მაისი 31 დღით არის.

2 დღე ვარასკევი. პონა ნაწილთა წმ. ათანასე მამთ მოაგონა, შობა მ. უმალ. ანდრეი ვლადიმირის-ძისა, ბორის ვლადიმირის ძისა, მარიამ ჰავლეც ასულისა. კათ ათანასისი.

გამოვიდა ბრძანება, რომ ამიერ-კავკასიაში აღარა ხმარებულყო ვერცხლის ფული-საქართველოს მეფეების დროს მოჭრილი (1852 წელს). ქვეშარიტი შეადლე 11—56—8. ტუილისში მზე ამოდის 4—41. ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 3—20, ჩადის 2—14 ნღ.

3 დღე შაბათი. წმ. ტიმოთე და მავრისა. კათ. პონა ცხოველ-ყოფილის ვებრისა. ქვეშარიტი შეადლე 11—56—9. ტუილისში მზე ამოდის 4—40; ჩადის 7—16—12. მთვარე ამოდის 4—31 ჩადის 3—2 ნღ.

4 დღე კვირა. ღირსისა ჰელაგისი, მოწმე სილოვანისა, ერანისა. სომეხთა: 22 დღე და მოთხე კვირა აღდგომის შემდეგ (პარმირ კვირავ). კათ. ფლორიანისა. ქვეშარიტი შეადლე 11—56—9. ტუილისში მზე ამოდის 4—39; ჩადის 7—13.

5 დღე ორ შაბათი: ქალწულ-მოწამის ირინისი. კათ. პისი. „გლაშერვა თავ. ციცივილისა ერევანზედ 1804 წ. დაარსება ტუილისში წმ. ნინოს საქალბო სასწავლებლისა 1846 წ. იეროშით აიღეს არტანუის ცხე 1877 წ. ქვეშარიტი“ შეადლე 11—56—11 ტუილისში მზე ამოდის 4—38; ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 6—42 დ. ჩადის 4—12 ნღ.

## მ ა ზ ა ნ დ ა .

გამოსაღებო ცნობანი.

1 აპრილილამ 1-ლ მისამდე. ადგილობრი შური 1-ლის ხარისხისა. 5 კ. > > 2 > 2 1/2 > ჯვარის მამის შური თანისა და ლავში 1-ლის ხარისხისა . . . 4 1/2 > > 2 ხარისხისა . . . 3 > > 3 — . . . 2 1/2 > მრხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 > 2 — . . . 7 > ჩალავაჟი და ცალკე ამოჭრილი სუკი . . . . . 14 > ცხვრის ხორცი . . . . . 9 >

მიმოსვლა რეინის გზისა.

ტუილისილამ გადის ბათუმს 8 ს. ჰ 35 წ. დ. ბათუმილამ მოდის — 10 ს. ჰ 25 წ. დ. ბაქოში მოდის — 10 ს ჰ 45 წ. დ. ბაქოლამ მოდის — 8 ს „ — „ დ.

ტუილისსა და სურამ შუა.

ტუილისილამ გადის 3 ს. ჰ 19 წ. დ. სურამილამ ტუ. შემოდის 8 ს. ჰ 24 წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა

თბილისსა და კავკავ შუა.

ზირ-და-ზირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტუილისილამ გადის — 4 ს. ნაშუადღეს კავკავში შედის — 5 ს 15 წ. კავკავილამ გამოდის — 4 ს. 7 წ. ტუილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31 დამე დგომით:

ტუილისილამ გადის 8 ს. დღით. კავკავში შედის — 5 ს 11; 6—43 ს დ

კავკავილამ გამოდის 9 ს. დღით. ტუილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 ს დ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმილამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსისის და კერში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. ს-დამოხე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირობით საღამოთი სტამბოლამდ მიდის.

ბათუმი მოდის ოდესილამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—ღღღღღ.

შაბათობით სტამბოლილამ მოდის დღით.

## განსახლება

ზედამხეველი კომიტეტი ტუილისის სთავად ახსნურა ბანკისა აუწევს ბ-ნთ დამფუძნებელ წევრთ და წევრთ მსესხებელთ, რომ ბანკის წესდების 82 ძალით 4 მასის ამა 1886 წ. დილის 10 საათოქედ დასაშულაა საერთო კრება წევრთა არწრუნისეულს სახლში სასახლის ქუჩაზე. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საგნები.

საოლიტიკო და სალიტირატურო

გ ა ზ ე თ ი

## „ი ბ ი რ ი ა“

გამოვა ყოველ-დღე ვარდა იმ დღეებისა, რომელნიც სედ-მოხდევს კვირა-უქმებს.

Table with 2 columns: Days of the week and corresponding numbers of issues. Includes entries for 12th, 11th, 10th, 9th, 8th, 7th days with issue counts like 10 მ., 9 > 50, 8 „ 75, etc.

სამზღვარ-გარედ დაბარებული ელირება — 17 მან. მიელის წლით. სოფლის სასწავლებელთ იცვრია მთელის წლით დაეიმობათ 8 მანეთად. ტუილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлис. Въ Редакцію газеты „ИВЕРІА.“

თუ ტუილისში დაკეთილი გაზეთი ტუილისის გარემე ადრესზედ შესცვლა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში—ერთი მანათი. თუ თთვის განმავლობაში დაიკეთა ვინმე გაზეთი და არა მთელისწლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღილამ გავეზანება. მანცხადებანი მიიღებინ გაზეთის რედაქციაში, შვეერლოვის საგაზეთოში, ცენტრალურს და გრაქტურვის წიგნების მაღაზიებში.

უანი განსახლების დაბამდისათვის:

ა) მეოთხე ვერღვედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაბ., პირველ-ზე—16 კაბ. ბ) სრული უკანასკნელი ვერღვი 30 მანათი, ხოლო პირველი ვერღვი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

სელ-საწერი და სავაჭოთოდ დასაშული წერილები (კორესპონდენციები) რედაქციის სასულობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული სელ-საწერები, ანუ სავაჭოთა წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქნება. არ დასაბეჭდი სელ-საწერები. თუ ერთის თთვის განმავლობაში პარტიკულარს არ მოიკითხეს მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ,

ანა-გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდოს სელ-საწერების და წერილების შესახებ რედაქცია არა კანსულაბს.

ზირ-და-ზირ მოლანაზრავებისათვის რედაქცია თვისსუფლ იქმნება ყოველ-დღე ზირველ საათილამ სამს საათამდე. რედაქცია იმყოფება: ახალ-ბებუთოვის ქუჩა, სახლი ზუბალოვისა № 9,